ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და

საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი N 6

18 თებერვალი, 2026 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

13:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

ბექა ოდიშარია

ქეთევან ჭავჭანიძე

ვალერიან პაპუაშვილი

მიხეილ რეხვიაშვილი

ნოდარ ბოკერია

ნიკოლოზ ჭუჭულაშვილი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები:

1. ზურაბ გურიელიძე
2. მზია შარაშიძე
3. ნინო კიკნაძე

4. ნინო ყამარაული
5. ლევან ქეცბაია
6. ანზორ მარგიანი
7. მამუკა მარიამიძე
8. ალექსანდრე ჩადუნელი
9. კახა გრიგოლია.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ლევან აბაშიძემ. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის, ნაძალადევის და სამგორის რაიონებში, თბილისის ზღვის სანაპიროს უსახელო მონაკვეთებისთვის **ზოოპარკის სანაპიროს** სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, გუმბათების წყაროს ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის **გრიგოლ რობაქიძის** სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, **ბარბარე ყიფიანის** ქუჩის გაგრძელების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ლიბანის შესახვევისთვის, მიხაკო წერეთლის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ჩიხებისთვის **მაყვალა მრევლიშვილის** სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ფონიჭალაში, ცოტნე დადიანის I შესახვევისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და ერთი ჩიხისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის **ვალერი ჩიქოვანის** სახელის მინიჭების შესახებ

6. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის **კონსტანტინე ლეთოდიანის** სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას III შესახვევისთვის, მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის და სამი გასასვლელისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის **ომარ ფურცელაძის** სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გუმათჰესის ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლის **ზურაბ კვანტრიშვილის** სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გუმათჰესის ქუჩის მონაკვეთისთვის **გუმათჰესის I ჩიხის** სახელის მინიჭების შესახებ
10. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯორში, ნიკოლოზ ბარათაშვილის I შესახვევისთვის **ნიკოლოზ ბარათაშვილის I გასასვლელ**ის სახელის მინიჭების შესახებ
11. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯორში, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის **ნიკოლოზ ბარათაშვილის I შესახვევის** სახელის მინიჭების შესახებ
12. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, **ვიქტორ კუპრაძის** ქუჩის გაგრძელების შესახებ
13. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, საბარგოს ხევისთვის და ბანაკის დასახლების I ქუჩისთვის **საბარგოს ქუჩის** სახელის მინიჭების შესახებ.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ლევან აბაშიძემ დამსწრე საზოგადოებასთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი განიხილა.

1. **ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის, ნაძალადევის და სამგორის რაიონებში, თბილისის ზღვის სანაპიროს უსახელო მონაკვეთებისთვის ზოოპარკის სანაპიროს სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებთან ერთად თბილისის ზღვის სანაპიროს მონაკვეთებისთვის ზოოპარკის სანაპიროს სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით ისაუბრა.

როგორც ცნობილია, დაგეგმილია მ. კოსტავას ქ. #64 მდებარე ზოოლოგიური პარკის გადატანა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე (ს.კ.81.21.04.669). ხსენებულ ტერიტორიამდე მისასვლელი გზა არ არის სახელდებული. საკითხთან დაკავშირებით კომისიას კომუნიკაცია ქონდა ა(ა)იპ თბილისის ზოოპარკის დირექტორთან ზურაბ გურიელიძესთან. ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე კომისიას სურს ჩუღურეთის, ნაძალადევის და სამგორის რაიონებში, თბილისის ზღვის სანაპიროს უსახელო მონაკვეთებს ზოოპარკის სანაპიროს სახელი მიანიჭოს.

აზრი გამოთქვეს: კომისიის სხდომას ესწრებოდნენ ა(ა)იპ თბილისის ზოოლოგიური პარკის დირექტორი ზურაბ გურიელიძე და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი მზია შარაშიძე. მათი ინფორმაციით, ზოოლოგიური პარკის გადატანა მიმდინარე წლის ივლისის თვეში იგეგმება. მათ მადლობა გადაუხადეს კომისიას გაწეული საქმიანობისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი.

მომხრე - შვიდი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ჩუღურეთის, ნაძალადევის და სამგორის რაიონებში, თბილისის ზღვის სანაპიროს უსახელო მონაკვეთებს მიენიჭოს ზოოპარკის სანაპიროს სახელი.

2. **ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, გუმბათების წყაროს ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის გრიგოლ რობაქიძის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიის მიერ შესწავლილი იქნა ტაბახმელაში, გუმბათების წყაროს ქუჩის მიმდებარე ტერიტორია.

არეალის გეგმარებითი თავისებურებების გათვალისწინებით საკითხის შესწავლისას გამოირკვა, რომ გუმბათების წყაროს ქუჩას სახელდებული ნაწილი და ფაქტობრივად არსებული გზა მოიცავს განსხვავებულ ტერიტორიებს. ქუჩის დაახლოებით 140 მეტრიან მონაკვეთზე არ მდებარეობს სამისამართო ერთეულები, არ არის საგზაო ინფრასტრუქტურა, რიგ მონაკვეთებში ფიქსირდება გადაფარვა რეგისტრირებულ საკადასტრო ერთეულებთან. აღნიშნული ტერიტორიის მიმდებარედ არსებული მონაკვეთი, რომელიც რეალურად წარმოადგენს გუმბათების წყაროს გეგმარებით ნაწილს- უსახელოა.

გარდა აღნიშნულისა, გუმბათების ქუჩის გავრცელების არეალი მოიცავს მონაკვეთებს, რომლებიც არ წარმოადგენს ამ ქუჩის ლოგიკურ გაგრძელებას. ერთ-ერთი ასეთი მონაკვეთი ფაქტობრივად გრიგოლ რობაქიძის ქუჩის გაგრძელებაა და მიზანშეწონილია სახელდების ფაქტობრივ გარემოებებთან შესაბამისობაში მოყვანა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ გუმბათების წყაროს ქუჩის მონაკვეთი და მასთან არსებული უსახელო ქუჩა გაერთიანდეს და ჩამოყალიბდეს ერთ დამოუკიდებელ ქუჩად. ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით კი შესაძლებელია გრიგოლ რობაქიძის ქუჩის გაგრძელება.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი.

მომხრე - შვიდი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, გუმბათების წყაროს ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ უსახელო ქუჩას მიენიჭოს გრიგოლ რობაქიძის სახელი.

3. **ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ბარბარე ყიფიანის ქუჩის გაგრძელების შესახებ**

მოისმინეს: ლევან აბაშიძის განცხადებით, შპს „მონტესორი რეალ ისთეითის“ დირექტორის ნინო კიკნაძის განცხადების საფუძველზე კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი 01.14.16.014.068 საკადასტრო ერთეულთან გამავალი უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებასთან დაკავშირებით. როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, უსახელო ტერიტორია მდებარეობს ბარბარე ყიფიანის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის გაგრძელებას.

ექიმის, პედაგოგისა და მეცნიერის ბარბარე ყიფიანის სახელი ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას 2023 წელს მიესიჭა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის სხდომას და საკითხების საჯარო განხილვას ესწრებოდა განმცხადებელი ნინო კიკნაძე. მან მადლობა გადაუხადა კომისას გაწეული დახმარებისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი.

მომხრე - შვიდი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, გაგრძელდეს ბარბარე ყიფიანის ქუჩა.

4. **ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ლიბანის შესახვევისთვის, მიხაკო წერეთლის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ჩიხებისთვის მაყვალა მრევლიშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: როგორც ლევან აბაშიძემ აღნიშნა, ახლადწარმოქმნილმა გზამ გლდანის რაიონში ერთმანეთთან დააკავშირა ლიბანის შესახვევი და მაყვალა მრევლიშვილის ქუჩის მონაკვეთი. აღნიშნულმა ცვლილებამ უსახელო ქუჩისთვის და ჩიხებისთვის მაყვალა მრევლიშვილის სახელის მინიჭების უპირატესობა გააჩინა.

კერძოდ, მაყვალა მრევლიშვილის ქუჩა, მასთან არსებული უსახელო ქუჩა და ლიბანის I შესახვევი წარმოადგენს ერთ დამოუკიდებელ ქუჩას, რომელსაც მართებულია ეწოდოს მაყვალა მრევლიშვილის ქუჩა. მიხაკო წერეთლის ქუჩის მონაკვეთი

ყალიბდება მაყვალა მრევლიშვილის 1 ჩიხად. ჩიხებად ყალიბდება ასევე ქუჩის მიმდებარედ არსებული სხვა უსახელო მონაკვეთებიც.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი.

მომხრე - შვიდი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, ლიბანის შესახვევს, მიხაკო წერეთლის ქუჩის მონაკვეთს, მასთან მდებარე უსახელო ქუჩას და ჩიხებს მიენიჭოს მაყვალა მრევლიშვილის სახელი.

5. **ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ფონიჭალაში, ცოტნე დადიანის I შესახვევისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და ერთი ჩიხისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ვალერი ჩიქოვანის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: ლევან აბაშიძის განცხადებით, კომისია გააგრძელებს დედაქალაქის ქუჩებისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული გმირების სახელების მინიჭების ტრადიციას. აფხაზეთის მეომართა კავშირის მომართვის და სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის რეკომენდაციის საფუძველზე, კომისიას სურს, რომ ფონიჭალაში მდებარე ცოტნე დადიანის I შესახვევს, მასთან არსებულ უსახელო ქუჩას და ერთ ჩიხს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის, უფროსი ლეიტენანტის, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერის ვალერი ჩიქოვანის სახელი მიანიჭოს.

აზრი გამოთქვეს: კომისიის სხდომას ესწრებოდა აფხაზეთის მეომართა კავშირის თავმჯდომარე ანზორ მარგიანი და აფხაზეთის მეომართა კავშირის მეთაურთა საბჭოს თავმჯდომარე ლევან ქეცბაია.

ნინო ყამარაულმა მადლობა გადაუხადა კომისიას. როგორც ცნობილია, სსიპ საჯარო რეესტრის სამისამართო დეპარტამენტს დამისამართების მოთხოვნით მან მიმართა.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი.

მომხრე - შვიდი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: კრწანისის რაიონში, ფონიჭალაში, ცოტნე დადიანის I შესახვევს, მასთან არსებულ უსახელო ქუჩას და ერთ ჩიხს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ვალერი ჩიქოვანის სახელი.

6. **ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის კონსტანტინე ლეთოდიანის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: ლევან აბაშიძის ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კომისიის თავმჯდომარემ აფხაზეთის მეომართა კავშირის კიდევ ერთი ინიციატივის შესახებ ისაუბრა, რომელიც დედაქალაქის ერთ-ერთი ქუჩისთვის კონსტანტინე ლეთოდიანის სახელის მინიჭებას ეხება.

როგორც ლევან აბაშიძემ აღნიშნა, კომისიის მიერ დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-6 საკითხს დადებითი რეკომენდაცია ჰქონდა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მხრიდანაც, თუმცა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს გააჩნია გარკვეული შენიშვნები ტერიტორიისთვის გზის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ ხსენებული ტერიტორიის დამისამართება (ს.კ.81.03.12.423) მოთხოვნილია მოქალაქე თამარ სილაგაძის მომართვის საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხი კომისიის წევრების მიერ არ იქნა მხარდაჭერილი.

7. **ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას III შესახვევისთვის, მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის და სამი გასასვლელისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ომარ ფურცელაძის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: ლევან აბაშიძის განცხადებით, კომისია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით ახორციელებს დედაქალაქში ქუჩათა ქსელების სისტემურ სახელდებებს. ასეთი კომუნიკაციის ფარგლებში, გლდანის რაიონში არსებულ ქუჩებს კომისიამ უკვე მიანიჭა გელა ოჩიაურის, მიხეილ გამკაძის და ბადრი ჭინჭარაულის სახელები. აღნიშნული ქუჩები მდებარეობს ერთმანეთის მიმდებარედ, ე.წ. გლდანისხევის ტერიტორიაზე. კომისიას კომუნიკაცია ჰქონდა ხსენებულ ტერიტორიაზე მაცხოვრებელ მოსახლეობასთან, რა დროსაც მათი მხრიდან გაჟღერდა სურვილი, რომ დასახლებაში არსებულ კიდევ ერთ ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის ომარ ფურცელაძის სახელი.

სახელდების პროცესში ლევან აბაშიძემ სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ჩართულობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ სამსახურის ინფორმაციით, ომარ ფურცელაძე დაიღუპა აფხაზეთში, გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისთვის".

აზრი გამოთქვეს: კომისიის სხდომას ესწრებოდა მამუკა მარიამიძე. მან მადლობა გადაუხადა კომისიას თანამშრომლობისთვის და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებისთვის. მამუკა მარიამიძემ აღნიშნა, რომ სახელდება და შემდგომში ნუმერაცია ინდივიდუალური მისამართების განსაზღვრას უზრუნველყოფს, რაც მოსახლეობის მომსახურების შეფერხების აღმოფხვრისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხი.

მომხრე - შვიდი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას III შესახვევს, მასთან არსებულ ერთ ჩიხს და სამ გასასვლელს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ომარ ფურცელაძის სახელი.

8. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გუმათჰესის ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლის ზურაბ კვანტრიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

9. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გუმათჰესის ქუჩის მონაკვეთისთვის გუმათჰესის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: ლევან აბაშიძემ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტიდან შემოსული წერილის საფუძველზე სამგორის რაიონში გუმათჰესის ქუჩის არსებულ მოხაზულობაზე და დაყოფის შესაძლებლობაზე ისაუბრა და განმარტა, რომ გუმათჰესის ქუჩას არ აქვს ქუჩისთვის აუცილებელი ძირითადი მახასიათებელი-ერთი დასაწყისი და ერთი დასასრული. ქუჩა იყოფა სხვადასხვა მიმართულებით და აქვს ერთგვარი ქსელური ხასიათი.

კომისიის სხდომაზე ქუჩებისთვის აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული და უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლის ზურაბ კვანტრიშვილის ბიოგრაფიაზე და საბრძოლო მოკვლევაზე ისაუბრეს.

ლევან აბაშიძის განცხადებით, კომისიას სურს გუმათჰესის ქუჩის ერთ მონაკვეთს ზურაბ კვანტრიშვილის სახელი მიანიჭოს, ხოლო მეორე მონაკვეთი, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის ჩიხს.

აზრი გამოთქვეს: კომისიის სხდომას ესწრებოდნენ ალექსანდრე ჩადუნელი და კახა გრიგოლია. მათ ფონდ „მოლოდინის" და აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მებრძოლ ვეტერანთა სახელით მადლობა გადაუხადეს კომისიას და აღნიშნეს, რომ გმირების სახელების მინიჭება დედაქალაქის ქუჩებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მათი სახელების უკვდავყოფის მიზნით.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილმე-8 და მე-9 საკითხებს ერთხმად დაუჭირეს მხარი.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-8 და მე-9 საკითხები.

მომხრე - შვიდი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, გუმათჰესის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლის ზურაბ კვანტრიშვილის სახელი,

სამგორის რაიონში, გუმათჰესის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს გუმათჰესის I ჩიხის სახელი.

10. **ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯორში, ნიკოლოზ ბარათაშვილის I შესახვევისთვის ნიკოლოზ ბარათაშვილის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ**
11. **ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯორში, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ნიკოლოზ ბარათაშვილის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: ლევან აბაშიძემ აღნიშნა, რომ კოჯორში უკვე არსებობს ნიკოლოზ ბარათაშვილის I შესახვევით ცნობილი გეოგრაფიული ობიექტი, რომელიც რეალურად ნიკოლოზ ბარათაშვილის I გასასვლელს წარმოადგენს, რაც შეეხება ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩასთან არსებულ უსახელო გეოგრაფიულ ობიექტს, მიზანშეწონილია მას ნიკოლოზ ბარათაშვილის I შესახვევის სახელი ეწოდოს.

კომისიის წევრებმა საკითხი დადებითად გადაწყვიტეს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-10 და მე-11 საკითხები.

მომხრე - შვიდი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: კოჯორში, ნიკოლოზ ბარათაშვილის I შესახვევს მიენიჭოს ნიკოლოზ ბარათაშვილის I გასასვლელის სახელი,

ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ნიკოლოზ ბარათაშვილის I შესახვევის სახელი.

12. **ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩის გაგრძელების შესახებ**

მოისმინეს: ლევან აბაშიძის განცხადებით, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის წერილის საფუძველზე კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამგორის რაიონში 01.19.39.004.002 საკადასტრო ერთეულთან გამავალი გეოგრაფიული ობიექტის სახელდებასთან დაკავშირებით.

კომისიამ მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით, ტერიტორიის შესწავლის შემდეგ დაადგინა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს სამგორის რაიონში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მისი გაგრძელება.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთორმეტე საკითხი.

მომხრე - შვიდი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, გაგრძელდეს ვიქტორ კუპრაძის ქუჩა.

13. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, საბარგოს ხევისთვის და ბანაკის დასახლების I ქუჩისთვის საბარგოს ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: როგორც ცნობილია, ისნის რაიონში მდებარე ბანაკის დასახლების I ქუჩა და საბარგოს ხევი მოიცავს ერთმანეთის მიმდებარედ არსებულ განაშენიანებულ ტერიტორიას. ორივე მონაკვეთი ქალაქგეგმარებითი თავისებურებების გათვალისწინებით ქმნის ერთ დამოუკიდებელ ქუჩას და მიზანშეწონილია მათი ერთ ქუჩად გაერთიანება. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში არსებული ინფორმაციით, ხსენებულ ტერიტორიაზე განაშენიანება განხორციელდა XX ს-ის 30-იან წლებში და ნავთლუღის საბარგო სადგურის სიახლოვის გამო საბარგოს დასახლებას უწოდებდნენ.

საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციები გაიმართა ისნის რაიონის მაჟორიტარ წევრთან კახა ლაბუჩიძესთან და ქუჩაზე მაცხოვრებელ მოქალაქეებთან. კომისიამ გაითვალისწინა მოსახლეობის სურვილი და საბარგოს ხევის და ბანაკის დასახლების I ქუჩის გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ გეოგრაფიულ ობიექტს საბარგოს ქუჩის სახელი შეუნარჩუნდება, როგორც ტოპონიმური სახელწოდება.

კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცამეტე საკითხი.

მომხრე - შვიდი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, საბარგოს ხევს და ბანაკის დასახლების I ქუჩას მიენიჭოს საბარგოს ქუჩის სახელი.

ლევან აბაშიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ლევან აბაშიძე